

შპს “ჯიემ გრუპი“

*მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის
(მსს ფასს) შესაბამისად მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება*

2021 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

		შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები			430,841	237,481
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			1,208,440	1,068,818
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები			140,598	172,507
მარაგები			1,007,316	1,559,985
	- მზა პროდუქცია		1,002,162	1,556,998
	- სხვა		5,154	2,987
სხვა მიმდინარე აქტივები				
ძირითადი საშუალებები			196,125	215,720
	- მიწა			
	- შენობა-ნაგებობა			
	- ძირითადი საშუალებები		191,051	209,672
	- არამატერიალური აქტივები		5,074	6,048
	- საიჯარო აქტივები, საკუთრების გადაცემის პირობით			
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				-
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები			2,983,320	3,254,511

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

ვალდებულებები	შენიშვნები	2021	2020
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები		1,010,204	1,448,676
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			27,099
საგადასახადო ვალდებულებები		81,883	135,456

გამომუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		1,700,000	1,700,000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები		1,169	4,259
სულ ვალდებულებები		2,793,256	3,315,490
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / დაგროვილი ზარალი		190,064	-60,979
სულ კაპიტალი		190,064	-60,979
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,983,320	3,254,511

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების
ანგარიშგება

		2021	2020
ნეტო ამონაგები	შენიშვნა	5,881,196	3,835,740
- საქონლის გაყიდვიდან		5,881,196	3,831,691
- მომსახურების გაწევიდან			4,049
-სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა			
გაყიდვების თვითღირებულება		(3,521,465)	(2,346,196)
- საწყისი მარაგი			
- მარაგების შესყიდვა			
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგი			

საერთო მოგება		2,359,731	1,489,544
----------------------	--	------------------	------------------

სხვა შემოსავალი		5,779	12,002
დასაქმებულთა ანაზღაურება		(829,165)	(425,670)
ცვეთა/ამორტიზაცია		(53,951)	(21,851)
საპროცენტო ხარჯი		9,819	22,136
იჯარის ხარჯი		(108,119)	(84,344)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(1,194,387)	(893,211)
სულ საოპერაციო ხარჯი		(2,170,023)	(1,390,938)
სულ საოპერაციო მოგება		189,708	98,606
გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება			
- ფინანსური აქტივები			
- მარაგები			
- სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)		61,965	(125, 124)
სავალუტო ოპერაციებიდან			
მიღებული დივიდენდი			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		251,673	(26,518)
მოგების გადასახადი		(630)	(34,461)
მოგება/ზარალი		251,043	(60,979)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი			
--	--	--	--

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		-	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		251,043	(60,979)

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		(60,979)	-
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		190,064	(60,979)
---	--	----------------	-----------------

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

2021 წელი 31 დეკემბერი

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან

მოგება/ზარალი დაბეგვრამდე

251,043

კორექტირებები:

ცვეთა და მორტიზაცია

53,951

მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში
ცვლილებამდე

304,994

კლება/ზრდა:

ცვლილებები მარაგში

552,669

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(174,720)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(429,786)

საგადასახადო აქტივი

(2,923)

საგადასახადო ვალდებულება

(22,519)

მოგების გადასახადი

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

227,715

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალების

(35,355)

შეძენა მიმდინარე

აქტივები

კაპიტალის შემცირება

-

გაცემული/მიღებული დივიდენდი

-

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

-34355

ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან

გადახდილი სესხი

-

პროცენტები და გადახდილი სესხები

-

მიღებული ფულადი სახსრები სესხის დაფარვით

-

ფინანსური ოპერაციიდან მიღებული სხვა შემოსავალი

წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში
სავალუტო კურსის ეფექტი

193,360

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში

237,481

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს

430,841

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯიემ გრუპი რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2017 წლის 09 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ლაილაშის ქ. 7; ფიზიკური მისამართები: საქართველო, ქ. თბილისი, ვაზისუბნის მე-3 მ/რაიონის მიმდებარე ნაკვეთი, მე-4 პავილიონი – საწყობი, საქართველო, ქ. თბილისი, ბ. ბელინსკის ქ. 13 – ოფისი.

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტებით. კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი № 402065661. საზოგადოება არის დღგ-ს გადასახადის გადამხდელი.

3.1 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ანგარიშგება შედგება: 2021 წლის 1 იანვრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო უწყისისაგან, 2021 წლის სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგებისაგან და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან.

შპს ჯიემ გრუპი-ს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მსს ფასის შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

3.2 ფასს-ების პირველადი დანერგვა.

ეს არის კომპანიის მიერ მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, ამდენად ახსნა-განმარტება იმისა თუ რა გავლენა იქონია ფასს-ებზე გადასვლის მიზნით მომზადებულმა პირველმა ფინანსურმა ანგარიშგებამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე არ არის წარმოდგენილი.

3.3 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს

ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი
2021 წლის 1 იანვარს	3,2766
2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976

3.4 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა გამოკლებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

სარემონტო და ტექმომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯები აისახება მოგება-ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწევა.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი,

ოფისის აღჭურვილობა - 4-5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 4-5 წელი

კომპანიის ბალანსზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ძირითადი საშუალებების უმეტესი ნაწილი მოდის სატრანსპორტო საშუალებებზე, კომპიუტერულ ტექნიკაზე და ავეჯზე.

3.5 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ნარჩენ ღირებულებაზე 15%-იანი ამორტიზაციის ნორმის გამოყენებით.

3.6 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი, ხოლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, აღარ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში შეტანას.

3.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს შესყიდვის და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგის ადგილამდე ტრანსპორტირებისა და ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი წარმოადგენს მზა პროდუქციას.

3.8 სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

3.9 უცხოური ვალუტის გადაანგარიშება

უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ოპერაციები გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის მოხდენის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში ბალანსის შედგენის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით, გადაანგარიშებების შედეგად გამოწვეული საკუროსო სხვაობები აღრიცხულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ავანსის გადაფასება არ სორცეიდდება.

2021 წლის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ:

1 იანვრისთვის	3,2766
წლის ყველაზე დაბალი	3,0774
წლის ყველაზე მაღალი	3,4548
31 დეკემბრისათვის	3,0976

3.10 სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

3.11 ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხორციელდება საქონლის გადატვირთვისთანავე, როდესაც მისაღები თანხის განსაზღვრა შეიძლება საიმედოდ.

3.12 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრები სრულად შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებისაგან. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებზე რიცხული თანხებიდან.

შპს ჯიემ გრუპ-ის

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი

